პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო

ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

შაბათი, 25 თებერვალი, 1989 წელი ● № 9 (3089) ● СУББОТА, 25 ФЕВРАЛЯ 1989 г.

საბჭოთა საქართველოს 68-ე წლისთავში

## აღმშენებლობის გზით

სამოცდარვა წელი შესრულდა იმ დღიდან, როცა საქართველოს დედაქალაქის თავზე საბჭოეთის დროშა აფრიალდა.

დიდი გამარჯვების შემდეგ, საქართველოს კომპარტიისა და ყველა მშრომელთა წინაშე დადგა კიდევ უფრო ძნელი და პრობლემატური ამოცანები.

ახალი ცხოვრების მშენებლობა დაკავშირებული იყო მრავალ სირთულეებთან, რომელიც პირველ ყოვლისა ეხებოდა ეკონომიკურ მდგომარეობას.

პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების დროს, მენშევიკებისა და ანტისახალხო საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად მთელი სამეურნეო ცხოვრება დაყვანილი იყო სრულ დეზორგანიზაციამდე. სამეურნეო მექანიზმის ნგრევამ მიაღწია არნახულ მასშტაბებს. ქარხნებისა და ფაბრიკების უმრავლესობა გაჩერდა. საქართველოს მთელი საფინანსო სისტემა მოიშალა, სახელმწიფო ბიუჯეტი ატარებდა აშკარად მილიტარიზირებულ ხასიათს და იწვევდა უდიდეს დეფიციტს, რომელმაც 1920 წელს 75 პროცენტი შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის 37 პროცენტი იხარჯებოდა შეიარაღებაზე, 5,5 პროცენტი სახალხო განათლებაზე და მხოლოდ 0,1 პროცენტი სოციალური საჭიროებისათვის. მენშევიკების ავანტიურისტული საფინანსო პოლიტიკის შედეგად მოხდა ფულის სრული გაუფასურება. 1920 წლის შემოდგომისათვის ერთი ინგლისური ფუნტი 11 ათასი ქართული მანეთი ღირდა. ფულის გაუფასურებამ გამოიწვია პირველი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების ფასების ასტრონომიული ზრდა, 1920 წლის ბოლოს ცხოვრება საქართველოში 1913 წელთან შედარებით გაძვირდა 3133-ჯერ.

არა ნაკლებ მძიმე იყო მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში. სულ უფრო ღრმავდებოდა სასურსათო კრიზისი. ორჯერ შემცირდა მარცვლოვანი კულტურების ალება, შემცირდა მსხვილფეხა საქონლის რაოდენობა, ერთი ორად შემცირდა ვენახების ფართობები, შემცირდა ღვინის გატანაც.

სოფლის მეურნეობას არ ეწეოდა არავითარი აგროტექნიკური დახმარება, არ გააჩნდა კრედიტები, არ იყო უზრუნველყოფილი სამუშაო იარაღებით.

1919-20 წლებში სოფლის მეურნეობაზე იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 5 პროცენტი.

სოციალიზმის მშენებლობის ძირითად ბირთვს შეადგენდა სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. რთული იყო უკვე გათიშული წარმოების ამოქმედება. ეკონომიკურ კატასტროფამდე მისული რესპუბლიკის სოციალიზმის გზაზე დაყენება მოითხოვდა პარტიისა და მშრომელი ხალხისაგან მთელი სამოქმედო ძალების მობილიზაციას, თავდადებას და გმირულ შრომას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში აშენდა 1200-ზე მეტი საწარმოო გაერთიანება. დაახლოებით 100 ქვეყანაში გადის ექსპორტზე ჩვენი რესპუბლიკის პროდუქცია.

დღემდე ჯერ არნახულ განვითარებას და მსოფლიო აღიარებას მიაღწია ქართულმა თვითმყოფადმა კულტურამ და ხელოვნებამ, მეცნიერებამ.

ამ გზაზე, მშვიდობიანობის თუ ომიანობის ჟამს, საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საქართველოს ჩეკისტებს, რომლებმაც საბჭოეთის მტრებთან და დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლით არაერთი და ორი გმირული ფურცელი ჩაწერეს ჩვენს ისტორიაში.

დღეს გარდაქმნის ეპოქაში შექმნილ სასიკეთო პირობებში უდიდესი რეფორმები ხორციელდება კონსტიტუციური უფლებების, ქართული ენის, დემოგრაფიის, ეკოლოგიის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების, მრავალ სხვა ეროვნული მნიშვნელობის მქონე საკითხებში.

გარდაქმნა მიმდინარეობს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, იგი შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს — საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, ეკონომიკის საფუძვლებს, დამკვიდრდა აზრთა პლურალიზმი.

გარდაქმნა მიმდინარეობს თვით შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაშიც, რომელიც პირველ რიგში გამოიხატა — დემოკრატიის და კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე მუშაობის თანამედროვე სტილისა და მეთოდების დაუფლება-დამკვიდრებაში, კომპრომენტირებული თანამშრომლებისაგან საკუთარი რიგების თვითგანწმენდასა, პოლიტიკურად და პროფესიონალურად მომზადებული ახალი თანამშრომლის ჩამოყალიბებაში, თანამშრომელი — პროფესიონალისა, რომელიც განუხრელად დაიცავს კანონის მოთხოვნებს თანამედროვე დემოკრატიის პირობებში კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთა — პროფილაქტიკის საქმეში.

გარდაქმნამ განვლილ პერიოდში დაგვანახა, რომ მას ბევრი სუბიექტური თუ ობიექტური სირთულეები ახლავს თან, იმაზე მეტი ვიდრე ამის წარმოდგენა მანამდე შეგვეძლო. უფრო ნათლად გამოიკვეთა ამ სირთულეთა აისბერგის მანამდე უხილავი წყალქვეშა მასის მასშტაბურობა და სიმუხთლე. გახშირდა შემთხვევები, როდესაც თვითმარქვია „ერისკაცები“ დემოკრატიით მინიჭებულ უფლებებს დემაგოგიისათვის იყენებენ. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არასანქციონირებული, აშკარა ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის მქონე, ზოგიერთი ექსტრემისტულად განწყობილი არაფორმალური ორგანიზაციების მიერ მოწყობილი მიტინგებით, გამოწვეული უწესრიგობანი იწვევს შს ორგანოების, ძალების დაქსაქსვას. სწორედ ამიტომ, დღეს მთელს ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტი მობილიზება, ძალთა კონსოლიდაცია გვმართებს ამ გზაზე ყველაზე ალტერნატიულის შესარჩევად, რომელზედაც ასე დაკვირვებით, — ყველა გარეშე თუ შინა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური, ისტორიული თუ თანამედროვე ვითარებათა გათვალისწინებით — ასე სკურპულოზურად, ღრმა მეცნიერულ და პრაქტიკულ ანალიზზე დაყრდნობით მიუძღვება დღეს ქართველ ხალხს ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა. ამ გზაზე დღესაც მხარში უდგას მას რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

დღეს, როგორც არასდროს მოწოდებულნი არიან დაიცვან კანონი და მისი მოთხოვნების მკაცრი დაცვით აღკვეთონ ყოველგვარი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. სწორედ ამ კანონის უზენაესობის პოზიციიდან შეიტანონ თავიანთი წვლილი თანამედროვე საბჭოთა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

## БРИФИНГ В МВД ГССР





**22 ФЕВРАЛЯ** руководством МВД ГССР в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского был проведен брифинг для журналистов газет, радио и телевидения Грузии, в котором приняли участие представители общественности республики.

С подробной информацией о результатах борьбы с преступностью по итогам прошлого года перед собравшимися выступил министр внутренних дел Грузии генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе. Впервые в распоряжение представителей средств массовой информации были предоставлены статистические данные, в абсолютных цифрах характеризующие динамику развития и состояние оперативной обстановки в республике, показатели работы ОВД по всем основным направлениям оперативно-служебной деятельности.

Отметив определенные положительные результаты, достигнутые в прошлом году коллективом министерства, наметившуюся тенденцию к сокращению многих видов преступности, тов. Ш. Горгодзе подчеркнул, что результаты могли быть и лучше, если бы силы и средства органов внутренних дел республики не отвлекались на обеспечение общественного порядка в ходе организуемых неформальными объединениями несанкционированных митингов и демонстраций. Отныне тактика ОВД в отношении противозаконных действий неформальных организаций станет более наступательной, органами милиции, в рамках законности и предоставленных им полномочий, будут приняты все необходимые меры для обеспечения должного порядка.

В заключение министр ответил на многочисленные вопросы участников брифинга, касающиеся мер по пресечению антиобщественных проявлений, усиления борьбы с конкретными видами правонарушений.

КУРСОМ ПЕРЕСТРОЙКИ

## СОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПАРТИЙНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ РАБОТУ

**ПЕРИОД** обновления, переживаемый нашим обществом, предъявляет повышенные требования ко всем партийным работникам, в том числе и к сотрудникам политаппаратов органов внутренних дел. Эта мысль красной нитью проходила во время состоявшегося 18 февраля совещания политработников системы МВД ГССР, на котором были рассмотрены итоги работы в прошлом году.

Выступивший на совещании с докладом заместитель начальника политотдела МВД ГССР полковник милиции Л. Горгодзе отметил, что в прошлом году основное внимание уделялось последовательной реализации Постановления ЦК КПСС от 31 марта 1988 года «О создании единой организационной структуры политорганов в системе министерства внутренних дел».

За каждым подразделением УИД были закреплены сотрудники политотдела министерства и параллельно опытные работники горрайорганов на местах дислокации ИТУ. В августе-сентябре политработниками МВД ГССР, совместно с работниками УИД были изучены учреждения системы, на основе чего были даны как объективная картина положительных процессов, происходящих в последнее время в ИТУ, так и критический анализ имеющихся недостатков, поставлены конкретные задачи на перспективу.

Были приняты меры по дальнейшему упорядочению и совершенствованию структуры партийных организаций, сокращению числа первичных парторганизаций и партийных групп. В то же время возросло количество цеховых организаций. Эти изменения произведены с учетом необходимости дальнейшего усиления партийного влияния на наиболее важных участках оперативно-служебной деятельности.

Партийные организации более предметно подходили к вопросам перестройки практической работы коммунистов ОВД. Основным рычагом повышения их личной ответственности и авангардной роли, как и в прошлые годы, являлись заслушивания отчетов, в том числе с утверждением партийных характеристик.

Принятое ЦК КПСС постановление от 31 марта 1988 года, подчеркнул тов. Л. Горгодзе, положительно сказалось и на укреплении взаимодействия политаппарата МВД с партийными органами на местах. В прошлом году в ЦК КП Грузии, в областных, городских, районных комитетах партии в общей сложности было заслушано 176 сотрудников ОВД.

(окончание на 2-й стр.)

# СОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПАРТИЙНО – ПОЛИТИЧЕСКУЮ РАБОТУ

(ОКОНЧАНИЕ)

Развитие процессов демократизации в деятельности ОВД выдвинуло на первый план задачи по расширению связи с общественностью. За 1988 год перед трудовыми коллективами и населением о проделанной работе отчитались 67 процентов молодых сотрудников и 72 процента участковых инспекторов, практически все руководители МВД, УВД, горрайлинорганов.

Более творческим стало проведение политучебы. Анализ организации учебного процесса на местах показал, что положительную реакцию личного состава вызвало формирование групп по языковому принципу.

Большое внимание уделялось работе с комсомольцами и молодыми сотрудниками. В сентябре в рамках «Дня молодого сотрудника» повсеместно прошли встречи руководителей с молодежью и комсомольцами, по инициативе политотдела была проведена встреча ста бывших воинов - интернационалистов, ныне работающих в МВД Азербайджана, Армении и Грузии, которая показала, что данная категория милицейской молодежи наиболее сознательно и непримиримо относится к недостаткам, полна энергии и решимости их устранять.

В целом, положительно решались вопросы кадрового обеспечения выполнения нового Положения о политорганах. Проведенная внеочередная аттестация 85,6 процента политаппарата подтвердила, отметил тов. Л. Горгодзе, что удалось в основном заблаговременно избавиться от неподготовленных сотрудников.

Приходится констатировать, сказал далее тов. Л. Горгодзе, что партийно-политическая, идейно - воспитательная, культурно-просветительная работа в некоторых регионах проводится в отрыве от практических оперативно - служебных задач и реального состояния законности. Это касается прежде всего политического отдела УВД г. Тбилиси и политработников Первомайского, им. 26 комиссаров, Ленинского и Сабурталинского РОВД столицы республики, где выявлены многочисленные факты укрытия преступлений от учета.

Повышенного внимания требует борьба со взяточничеством, спекуляцией, хищениями и теневой экономикой, организованной преступностью, укоренившейся в экономической сфере. Политработникам следует глубже вникать в результаты работы подразделений на данном направлении. Однако, как показало заслушивание служб БХСС Тбилиси, МВД Абхазии и Аджарии, УВД Юго-Осетии и ряда других подразделений, пока этого не происходит.

В ряде первичных парторганизаций еще не избавились от парадности и формализма, примером чему могут служить отчетно-выборные собрания, проведенные в ЛОВД на ст. Гори, ОВО при Первомайском РОВД, ОВПО-3 г. Гагра, ИТК-39 и других подразделениях.

В нынешнем году, отметил тов. Л. Горгодзе, необходимо повышение боевитости партийных организаций с учетом замечаний и указаний, данных ЦК КП Грузии, партийными комитетами на местах, усиление их партийного влияния на деятельность конкретных служб.

Первоочередными задачами являются также организация пропагандистской работы, направленной на улучшение интернационального воспитания личного состава, усиление партийно - политического обеспечения деятельности сотрудников, рабочих и служащих ИТУ по перевоспитанию лиц, отбывающих наказание.

В нынешнем году политорганам следует перенести всю организаторскую работу в низовые подразделения.

Подготовительный этап выполнения постановления ЦК КПСС от 31 марта 1988 года завершился, сказал в заключение тов. Л. Горгодзе, и то, насколько жизненными и эффективными окажутся определенные им задачи, зависит от вклада в его выполнение каждого политработника МВД республики.

Выступившие на совещании сотрудники политотдела МВД ГССР — старший инструктор группы кадров майор внутренней службы О. Нинуа, начальник отделения пропаганды и агитации майор милиции И. Шарапов, старший инструктор отделения организационно - партийной работы старший лейтенант внутренней службы С. Чилингарян, инструктор отделения организационно-партийной работы старший лейтенант милиции Д. Купрейшвили, инструктор группы культурно - массовой работы капитан внутренней службы В. Татаева и помощник начальника политотдела по комсомольской работе старший лейтенант милиции В. Чинчараули проанализировали достигнутые результаты и имеющиеся недостатки на конкретных направлениях партийно - политической работы.

Итоги совещания подвел начальник политического отдела МВД ГССР полковник милиции А. Анкваб.

**А. ЦАТУРОВ.**

## МНЕНИЕ КОЛЛЕКТИВА

4 ФЕВРАЛЯ 1989 года в Очамчирском РОВД проводилось общее собрание с необычной повесткой дня. Решался вопрос о выдвижении кандидата на занятие вакантной должности начальника паспортной службы Очамчирского РОВД. Три офицера изъявили желание занять должность начальника паспортной службы — старший участковый инспектор по делам несовершеннолетних майор милиции Я. Ласурия, дежурный инспектор дежурной части РОВД капитан милиции Т. Шамугия и оперуполномоченный ОУР райотдела старший лейтенант милиции О. Кебурия.

Каждый из кандидатов выступил с программой действий, в случае его избрания на эту должность.

Голосование решено было проводить тайно.

Была избрана счетная комиссия в составе 3-х человек. Участникам собрания раздали 44 бюллетеня с указанными в них фамилиями кандидатов. Была установлена опечатанная урна, в которую опускались бюллетени.

Счетной комиссией при подведении результатов голосования установлено, что проголосовало всего 43 офицера, так как при вскрытии оказалось 43 бюллетеня. За Ласурия проголосовало 8 человек, за Шамугия — 22 человека, за Кебурия — 13.

Так как один из кандидатов набрал более 50 процентов голосов, от проведения второго тура голосования отказались. Собрание постановило ходатайствовать перед отделом кадров МВД Абхазской АССР о назначении на должность начальника паспортной службы Очамчирского РОВД капитана милиции Шамугия Тристана Спиридоновича.

Мнение коллектива в условиях демократизации и гласности приобретает решающее значение. Казалось бы, зачем ломать голову руководству, ведь можно издать приказ и назначить на должность. Так раньше и было, но для успешного решения задач перестройки необходимо менять стиль и методы работы.

**В. ШЕВЧЕНКО,**
капитан милиции, секретарь партийной организации Очамчирского РОВД.

## სატრანსპორტო მილიციის შექმნის 70-ე წლისთავი



**საქართველოს** სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოში ჩატარდა საზეიმო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა სატრანსპორტო მილიციის შექმნის 70-ე წლისთავს.

შეხვედრა გახსნა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორმა ვ. შადურმა. მოხსენებით გამოვიდა სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი რ. თუშურაშვილი. მოგონებებით გამოვიდნენ ვეტერანები. მილიციის მუშაკებს საიუბილეო თარიღი მიულოცეს აეროფლოტისა და რკინიგზის ხელმძღვანელმა მუშაკებმა. დასასრულ დააჯილდოვეს მოწინავე თანამშრომლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი ე. ვასილიევი, პარტიული კომიტეტის მდივანი ი. ჭელიძე.

* * *

**სურათზე:** რესპუბლიკის სატრანსპორტო მილიციის მოწინავე თანამშრომელთა ერთი ჯგუფი.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

## სამართლებრივი საკითხები გაზეთის ფურცლებზე.

**საქართველოს** სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ ერთობლივ სხდომაზე განიხილეს საკითხი — სამტრედიის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, მახარაძის, ლანჩხუთის, თერჯოლის, რაიონული, ფოთისა და ჭიათურის საქალაქო გაზეთებში სამართლებრივი საკითხების გაშუქებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ გაზეთების მუშაობა ამ მხრივ ჯერ კიდევ უსისტემოა, მასალები უმეტესად ინფორმაციული ხასიათისაა და მოკლებულია ღრმა ანალიზს. სამართლებრივი საკითხების გაშუქებაში გარკვეული თანმიმდევრობით გამოირჩევა და უკეთესი მდგომარეობაა ჭიათურის საქალაქო და ლანჩხუთის რაიონულ გაზეთებში.

კოლეგიამ და სამდივნომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი საკითხების გაშუქების გაუმჯობესებას რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

(საქინფორმი)

## ანგარიშით შრომითი კოლექტივის წინაშე

# გულახდილობის ვითარებაში

**ახლახან** კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის მოსახლეობის წინაშე გასულ წელს გაწეული მუშაობის ანგარიშით წარსდგა უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ზ. ქეიძე. იგი კასპის რაიონიდანაა. 1972 წელს დაამთავრა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებისთანავე მუშაობას იწყებს საბჭოთა და პარტიული ორგანოების დაცვის განყოფილებაში მილიციელად. მილიციის სპეციალური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1984 წლიდან უბნის ინსპექტორია, ორი წლის შემდეგ კი უკვე ქვემოჭალის ადმინისტრაციულ უბანს ემსახურება.

ზ. ქეიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ **მის სამოქმედო უბანში შედის კოდისწყაროს, სამთავისის, ქვემოჭალის და ლამისყანის სასოფლო საბჭოების 22 სოფელი. იგი საანგარიშო პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევდა პროფილაქტიკურ მუშაობას და მასში საზოგადოებრივი აქტივის და შრომითი კოლექტივების ჩაბმას.**

**აღნიშნულ პერიოდში განმეორებით დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმრობიდან დაბრუნებულ პირებთან მუშაობას. სოფლის პირობებში მოსახლეობას შორის არც თუ იშვიათად წამოიჭრება საყოფაცხოვრებო კონფლიქტები. უბნის ინსპექტორმა დროულად უნდა გამოავლინოს მოდავე პირები და გაატაროს პროფილაქტიკური ღონისძიებები.**

**საანგარიშო პერიოდში მომხსენებელი ამოწმებდა საპასპორტო რეჟიმის დაცვას, ეცნობოდა მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობებს. მან თვითკრიტიკით აღნიშნა, რომ სუსტად იბრძოდა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა არასრულწლოვანთა ხაზით მუშაობას. ამის გარდა ითქვა ისიც, რომ ნორმაზე მეტია სამომსახურეო უბნის ფართობი და მოსახლეობა თითქმის არავითარ მუშაობას არ ეწევიან სახალხო რაზმელები, არ გააჩნიათ მართლწესრიგის საყრდენი პუნქტები, არ აქვს სატელეფონო კავშირი.**

შეხვედრაზე სხვადასხვა წინადადებათა შორის მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, რომ შს რაიგანყოფილებამ გააქტიუროს ბრძოლა ლოთობისა და მექთახორობის წინააღმდეგ.

რაიონში არსებულ ოპერატიულ ვითარებაზე ილაპარაკა რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა გ. ნიორაძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი გ. გოჭოშვილი, რაიკომის ინსტრუქტორი ნ. გურასპაშვილი.

# სიმყუდროვის სადარაჯოზე

**უკვე მეოთხედი საუკუნეა რაც წყალტუბოს შს საქალაქო განყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვედანაყოფის მეთაურია კომუნისტი თ. გედენიძე. მყუდროების გუშაგს არაერთხელ გამოუჩენია სიფხიზლე მოსალოდნელი დანაშაულის პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის. მილიციის ზემდეგი კარგად გრძნობს ქალაქის ცხოვრების მაჯისცემას. გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის მას შინ თუ გარეთ ყველა აფასებს. მუდამ ახალგაზრდა თანამოსაქმეთა გვერდითაა, უზიარებს თავის გამოცდილებას. იგი „მილიციის ფრიადოსნის“ სამკერდე ნიშნის გარდა მრავალი მედლით და სიგელითაა დაჯილდოვებული.**

**დამრიგებლის ნდობას ამართლებენ საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მილიციელები მ. ქორიძე, გ. მორჩილაძე, თ. ლილუაშვილი, ი. ამბროლაძე, დ. ჭეიშვილი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ძმის ელგუჯა ჭეიშვილის შემდეგ დადგა წესრიგის სადარაჯოზე.**

ლ. თალაკვაძე.

* * *

**სურათზე:** თ. გედენიძე სამორიგეოდ გასვლის წინ ინსტრუქტაჟს უტარებს მილიციელებს.

ა. ალეინიკოვის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოცშეჯიბრში გამარჯვებული

# ჩვენი უბნის „კუკარაჩა"

**ასე** სიყვარულით და ღრმა პატივისცემით ეძახიან შალვა რუხაძეს ზემო ვეძისში.

აგერ უკვე მერვე წელი იწურება, რაც იგი თავისი სამოქმედო უბნის სიმყუდროვეს იცავს.

იგი 1972 წელს მოვიდა შს ორგანოებში სამუშაოდ. სოფლიდან წამოსულს სახლში ატირებული ათი დაძმა და დედა დარჩა. ძნელი იყო მისთვის ოჯახთან განშორება, მაგრამ რადგან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სამართლის სამსახურში ჩამდგარიყო, ამიტომ ყველა სიძნელისთვის უნდა გაეძლო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ როცა რაიმე სიძნელე შეხვდება, სწორედ ის თვალცრემლიანი გმირი დედა და მისი გზის დალოცვა ახსენდება...

უბნის ინსპექტორობა მუშაობის სპეციფიკით ალბათ ექიმის რთულ და ყველაზე ჰუმანურ პროფესიას თუ შეედრება, ყველა ავადმყოფს ინდივიდუალური მიდგომა და მკურნალობა უნდა, ინდივიდუალური მიდგომა და არანაკლები ყურადღება უნდა ყველა მაცხოვრებელსაც, ფორმაში ჩაცმულ უბნის ინსპექტორში ისინი ხომ კანონს, მის ჰუმანურობასა და ობიექტურობას ხედავენ.

სწორედ ამ ადამიანური პროპორციების დაცვისათვის, მათი უბადლო და კანონიერი შესრულებისათვის უყვართ და სჯერათ შალვა რუხაძის...

...შუა დღე გადასული იყო. ამ დროს ხომ ბავშვები ბრუნდებიან სკოლიდან, ეს დროის ისეთი მონაკვეთია, როცა ბავშვი ქუჩას უახლოვდება, სკოლიდან წამოსული სახლში არ მიდის, დგას სადარბაზოსთან და თანატოლებში სიგარეტის წევაში კლავს დროს.

შალვაც სწორედ ერთი და იგივე დროს, უკვე კარგად ნაცნობ ქუჩას დინჯად მიუყვება, შეჩერდება, ბავშვებს ელაპარაკება, იცინიან. უცებ მოპირდაპირე სახლის სადარბაზოდან დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით მძიმედ დატვირთული ჩანთებით ახალგაზრდა გამოდის. ერთი შეხედვით თითქოს საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩეკისტის მეხსიერებაში სურათებისა და კადრების საქანელა დატრიალდა...

ტანად პატარა, მაგრამ ვერცხლისწყალივით სხარტი და ძლიერი იყო ხასიევი, მან ბოლო მეოთხე სასჯელი ერთი წლის წინ მოიხადა, მაგრამ უკვე რამოდენიმე ქურდობის ჩადენა მოასწრო და ამიტომაც ეძებდნენ...

თითქმის ორმოცი წუთი გრძელდებოდა მათი ბრძოლა. თითქოს ჯინაზე მომხმარეც არავინ გამოჩნდა...

კანონიერება ებრძოდა უკანონობას და დაამარცხა კიდეც იგი.



ეს ერთ-ერთი იმ ეპიზოდთაგანია უბნის ინსპექტორის ცხოვრებიდან, რომლითაც შეიძლება ითქვას „მდიდარია" შალვა, დიახ, ამ რვა წლის მანძილზე მას დაკავებული ყავს ექვსი სხვადასხვა სისხლის სამართლის დამნაშავე.

სანიმუშო, მისაბაძი მუშაობისათვის იგი მრავალჯერ არის წახალისებული, მიღებული აქვს ორი მედალი „უმწიკვლო სამსახურისათვის".

1988 წლის შედეგების მიხედვით მილიციის კაპიტანი შ. რუხაძე საბურთალოს შს რაიგანყოფილების სოცშეჯიბრში გამარჯვებულია.

მომავალ წარმატებებს გისურვებთ, ბატონო შალვა.

**ს. ალავიძე.**

# მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისათვის

**ზოგადსაგანმანათლებლო** სკოლის, პროფტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სამართლებრივი აღზრდა, ის, რომ ჩავუნერგოთ მოსწავლეებს, ჩვენს ახალგაზრდობას საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესის პატივისცემა, ჩამოვუყალიბოთ მათი დაცვის აუცილებლობის შეგნება.

ამ ამოცანათა გათვალისწინებით მიმდინარეობს საჯავახოს საშუალო სკოლაში მოსწავლეთა სამართლებრივი სწავლება, შექმნილია და მოქმედებს სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭო. ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სკოლაში არ მომხდარა არცერთი სახის სამართლებრივი დარღვევა, მეტყველებს იმაზე, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან აღნიშნულ სკოლაში ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

ამ რამდენიმე დღის წინ სკოლის სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭომ მოაწყო მოსწავლეთა შეხვედრა რაიონის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებთან. შინაარსიანი რეფერატები წარუდგინეს შეხვედრის მონაწილეებს მოსწავლეებმა მარინა დუდუჩავამ, თამარ გრიგოლიამ, მარინა ნანობაშვილმა, კობა ხუნდაძემ, ირაკლი რუხაძემ, ნატო კოპალეიშვილმა და სოფიკო ხუნდაძემ. რეფერატებში აისახა საბჭოთა სოციალისტური სამართლის, სამართლებრივი ურთიერთობის, სამართალდარღვევების და იურიდიული პასუხისმგებლობის, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებიდან და დამატებებიდან გამომდინარე მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დაცვისა და სხვა საინტერესო საკითხები.

შეხვედრაზე ბევრი საინტერესო პრობლემები წამოიჭრა, რამაც საქმიანი ელფერი მისცა ღონისძიებას. მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხები გასცეს სამტრედიის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში რ. ღირდალაძემ, კომკავშირის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ქორიძემ, საჯავახოს უბნის ინსპექტორმა ო. თარგამაძემ.

**ნ. ბიბოლაშვილი,**
**საჯავახოს საშუალო სკოლის ორგანიზატორი, სკოლის სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოს წევრი.**

23 ФЕВРАЛЯ — ДЕНЬ СОВЕТСКОЙ АРМИИ И ВОЕННО-МОРСКОГО ФЛОТА

# О ДРУЗЬЯХ, ТОВАРИЩАХ...

«Им не пели своих песен
соловьи,
И на глазах они друзей
теряли,
Их называли просто
«шурави»,
Тех ребят, что землю
защищали».

**ЭТИ СТИХИ** мне хотелось посвятить тем, кто еще совсем недавно с оружием в руках отстаивал свободу и независимость Республики Афганистан, выполнял свой интернациональный долг. Около 10 лет прошло с тех пор, когда первые советские воинские части, пройдя перевал Саланг, ступили на афганскую землю. Никому, наверно, не сосчитать, сколько раз за эти годы им приходилось вступать в бой, проходить под обстрелом многокилометровые марши, проводить дни и ночи в тревогах. Но они все же прошли через это, сумев прорваться сквозь свинцовый ураган, выдержав труднейшие испытания.

Среди тех, кто обучается на Тбилисском факультете Московской высшей школы милиции МВД СССР, есть слушатели, прошедшие «афганскую школу». Поздравляя их с праздником 23 февраля, хочется пожелать им здоровья, счастья, успехов во всех начинаниях.

Два года прошло с того дня, как слушатель I курса, член комитета комсомола Георгий Шаишмелашвили вернулся домой. Его ратный труд отмечен правительственными наградами, а также афганской медалью «От благодарного афганского народа».

Слушателю IV курса Фахридину Мусаеву довелось служить в 1979-81 годах, а значит он был в числе тех первых воинов, которые, не имея еще опыта борьбы в таких условиях, защищали афганскую землю от душманских банд. Скоро он завершит учебу, начнет практическую деятельность, но как бы ни сложилась его дальнейшая судьба, ясно одно — годы службы в РА ему никогда не забыть.

«Это было в провинции Пандисшер. Дорога серпантином уходила в горы, обрываясь где-то наверху, в конце перевала. Наша колонна попала под обстрел банды, укрывшейся в горах. Ценой больших усилий нам удалось прорваться, доставив караван грузов в нужный населенный пункт». Это один из эпизодов службы в Афганистане слушателя I курса Павла Кокоскерия, также награжденного правительственной наградой.

15 февраля 1989 года завершился вывод советских войск из Афганистана. Перешагнув через Гиндукуш и оставив за собой Саланг, советские воины, выполнив свой долг до конца, вернулись домой. Вернулись, чтобы снова обнять родных и близких, ощутить дыхание родной земли. Но многим, таким же ребятам, не суждено было встретить этот день. Говорят, что время стирает все, даже камни. Но ему не стереть и не сгладить в нашей памяти имена тех, кого не дождались матери. Вот потому, самым лучшим памятником погибшим будет память о них, которую мы, живущие на земле, должны хранить вечно.

**Л. СИЧИНАВА,**
**слушатель III курса ТФМВШМ МВД СССР.**

## МЫ — ИНТЕРНАЦИОНАЛИСТЫ

# Вновь на боевом посту

**НЕМАЛО** воинов - интернационалистов служат сейчас в органах внутренних дел республики. С одним из них — младшим инспектором-кинологом Сигнахского РОВД младшим сержантом милиции Георгием Отиевым мы познакомились летом прошлого года на чемпионате МВД ГССР по служебно-прикладному многоборью.

Родился он в Сигнахи, там же окончил среднюю школу. В 1977 году в Тбилиси окончил профтехучилище, получив квалификацию штукатура - каменщика, продолжил свою трудовую деятельность в ремонтно-строительной конторе Сигнахи.

Крутой перелом в его жизни наступил после того, как в 1979 году он был призван в Советскую Армию. Спустя несколько месяцев его подразделение перебросили в Афганистан.

«Служба подходила к концу, — вспоминает Георгий, — был декабрь 1981 года, но жара стояла такая, что вода, буквально, закипала во фляжках. Нам было дано задание обезвредить группу душманов, которая обстреливала один из кишлаков. В ходе этой операции мне лично удалось уничтожить гранатой несколько душманов, однако и сам я получил ранения осколками в обе ноги, но через три дня уже был в строю и узнал, что награжден медалью «За отвагу».

После службы в армии Георгий возвращается работать в родной коллектив, а затем по рекомендации сослуживцев, направляется в ОВД, в 1985 г. оканчивает курсы кинологов в г. Ростове.

За прошедшее после этого время Георгий вместе со своим четвероногим другом — овчаркой по кличке «Кас», которую он привез из Ростова, раскрыл по «горячим следам» не одно преступление. Принципиальный, объективный и скромный — таким знают его товарищи по работе. От него никогда не услышишь слов «это не мое дело», он всегда готов прийти на помощь в трудную минуту.

Но его личные проблемы пока остаются нерешенными. Георгий состоит на квартирном учете в райисполкоме. Ему как воину-интернационалисту положены соответствующие льготы, однако, несмотря на его неоднократные просьбы к руководству, ему по-прежнему приходится ежедневно ездить на работу из Цители-Цкаро.

Но тем не менее 26-летний передовой сотрудник не унывает. У него хорошая семья, растет полуторагодовалый сын Геннадий. И на работе все спорится — Георгий Отиев неоднократно успешно выступал на республиканских соревнованиях по служебному многоборью, награждался за это медалями и ценными подарками, за успехи в службе имеет много благодарностей от руководства райотдела. Недавно произошло еще одно важное событие в его жизни — Георгий как передовой комсомолец, благодаря единодушной поддержке участников партийного собрания Сигнахского РОВД, был принят кандидатом в члены КПСС.

**А. МАЛАЯНЦ.**

# მეხანძრეებმა იმარჯვეს

**გვიან** ღამით ფოთის № 10 სამშენებლო ტრესტის მცირე მექანიზაციის უბანში ხანძარი გაჩნდა. იგი ღამის დარაჯმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როდესაც ბუღალტერიის, მოლარისა და ეკონომისტის სამუშაო ვაგონ-სახლში ხანძარმა იფეთქა, მინები ჩაიმსხვრა და ალი გარეთ გამოვარდა. ღამის დარაჯმა სახანძრო რაზმის გამოსაძახებლად ახლო-მახლო ობიექტები შემოირბინა, მაგრამ ამაოდ — სატელეფონო კავშირი არსად მუშაობდა. დაგვიანებით კერძო ბინიდან სახანძრო დაცვას ხანძრის შესახებ შეატყობინეს. ხანძარზე ყოველგვარი შეფერხების გარეშე გავიდა პროფესიონალური სახანძრო ნაწილის მორიგე ქვედანაყოფი, ყარაულის უფროსის მ. ლემონჯავას მეთაურობით.

ვაგონ-სახლი ცეცხლის ალში გახვეულიყო. ხანძრის გავრცელების აშკარა საშიშროება ემუქრებოდა ბენზინმზიდ ავტოცისტერნას, ავტოამწეებს და სხვა სპეცავტომობილებს.

მეხანძრეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ უზრუნველყვეს სახიფათო ზონიდან ავტომანქანების ევაკუაცია, პარალელურად უტევდნენ ხანძრის სტიქიას. ხანძარს არ მიეცა შემდგომი გავრცელების საშუალება და ლიკვიდირებული იქნა იმ ფარგლებში რა ვითარებაშიაც მიუსწრეს მას. ხანძრის შედეგად დაიწვა ვაგონ-სახლში მოთავსებული ინვენტარ-მოწყობილობა და ავტოამწის ერთი საბურავი. გადარჩენილი იქნა დიდძალი სახელმწიფო დოვლათი.

აღსანიშნავია, რომ ობიექტის ხელმძღვანელობა გულგრილად ეკიდებოდა სახანძრო უშიშროების ნორმებსა და წესების დაცვას. სპეცავტომანქანები ტერიტორიაზე დაყენებული იყო უწესრიგო მდგომარეობაში. ადმინისტრაციულ ვაგონ-სახლებთან ახლოს ყოველგვარი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების დაცვის გარეშე იდგა მანქანები. ობიექტს არ გააჩნდა მანქანების საევაკუაციოდ გვარლი, არ არსებობს საევაკუაციო გეგმა. ბუღალტერიაში არ იყო საცავ-სახანძრო სიგნალიზაცია და ა. შ. — ხანძარზე მონაკვლევი მასალები გადაეცა შს განყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილებას, რომელიც მალე ნათელს მოფენს ხანძრის გაჩენის მიზეზს.

ვფიქრობთ სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტორებმა ობიექტების შემოწმებისას მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ.

**ლ. ჟოჟუა.**

ПО НЕЧИСТЫМ РУКАМ

# РАЗОБЛАЧЕН СПЕКУЛЯНТ

СЛОВО «дефицит», к сожалению, довольно прочно вошло в наш повседневный лексикон. Насыщение торговой сети товарами повышенного спроса является одной из основных задач ведущейся в сфере экономики перестройки. Пока же имеющиеся бреши в системе спрос-предложение стараются заполнить предприимчивые «бизнесмены», пренебрегающие, зачастую, правилами действующего законодательства. Все это требует от сотрудников милиции особой бдительности и принятия своевременных мер по выявлению и пресечению фактов различных махинаций.

Недавно попробовать свои силы на ниве нечистоплотного бизнеса решил и продавец продуктового магазина Дигомского райпотребсоюза, житель села Дигоми, ранее не судимый Н. Д. Торговых факультетов он не кончал, до высот экономической науки не поднимался, однако и восьмиклассного образования ему хватило для того, чтобы подсчитать, какую прибыль можно извлечь из продажи по повышенной цене, а попросту спекуляции покрышками — товаром столь желанным для наших неизбалованных изобилием запчастей автолюбителей.

Конечно, продуктовый магазин — не лучшее место для подобных коммерческих сделок, но и это не смутило предприимчивого продавца. Реализовать свой отнюдь не съедобный товар он решил у себя дома. Здесь он и был 15 января задержан сотрудниками отделения БХСС Октябрьского РОВД г. Тбилиси и ОУР Мцхетского РОВД на факте продажи гр. М. О. четырех покрышек для автомашины «Жигули» (каждая стоимостью 69 рублей 20 копеек) за 400 рублей. Нетрудно подсчитать, что доход от этой не совсем удачно провернутой «торговой» операции составил 127 рублей 20 копеек.

Сумма вроде бы сравнительно невелика, но к ней надо прибавить и возможный доход от еще 678 подобных покрышек, изъятых сотрудниками милиции из подвала дома Н. Д. Покрышки, полученные продуктовым магазином из Мцхетского мебельного магазина, хранились у Н. Д. незаконно, без каких-либо документов. А как это могло произойти, и почему была проявлена подобная бесконтрольность со стороны руководства торговых организаций, покажет ведущееся сейчас следствие.

**А. ЛЬВОВ.**

# შეხვედრა სასწავლო ცენტრში

**ბულთბილი** და ფრიად საინტერესო შეხვედრა მოეწყო ამ დღეებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრში. პედკოლექტივს და კერძოდ სასწავლო ცენტრის უფროსს შ/ს პოლკოვნიკს ბ. კარტოზიას და მოადგილეს პოლიტდარგში, მილიციის მაიორ ზ. მესხიშვილს ეკუთვნოდათ ასეთი შეხვედრის მოწყობის ინიციატივა, რომელიც მსმენელთა მორიგ გამოშვებას დაემთხვა. შეხვედრაზე ი. გოგებაშვილის სახელობის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, მასწავლებელთა ყრილობის დელეგატმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლევან ჩიქვანაიამ მრავალ საინტერესო და აქტუალურ კითხვებს გასცა პასუხი.

გარდაქმნა და პედაგოგიკა ასეთი იყო საუბრის დედააზრი, რომელიც დიდხანს დარჩება ახალგაზრდა თანამშრომელთა და პედაგოგთა მეხსიერებაში.

* * *

**სურათზე: შეხვედრის დროს.**



საზრიანთა კლუბი

# შემთხვევის ადგილისაკენ

**შემთხვევის** ადგილისაკენ მიმავალმა ინსპექტორმა ვარნიკემ ტაქსის მძღოლს უთხრა: — რა ღირს ერთი კილომეტრის მგზავრობა და რამდენი კმ-ია შემთხვევის ადგილამდე.

ტაქსის მძღოლმა უპასუხა: — ერთი კილომეტრის მგზავრობა ღირს ერთი მარკა, რაც შეეხება მანძილს, გავივლით ერთ კილომეტრს, დარჩენილი გზის ნახევარს, მთელი გზის მესამედს და კიდევ გასავლელი დაგვრჩება ერთი კილომეტრიო.

ინსპექტორი ვარნიკე არც დაფიქრებულა ისე ამოიღო და წინასწარ გადაუხადა საჭირო თანხა.

რამდენი კილომეტრია შემთხვევის ადგილამდე და რამდენი მარკა გადაუხდია ვარნიკეს?

**მოამზადა ლ. ჭოჭუამ**

**მკითხველთა გვარებს, ვინც სწორ პასუხებს გამოგვიგზავნის გამოვაქვეყნებთ გაზეთის უახლოეს ნომერში.**

სწრაფად, ოპერატიულად

# ღამის ორი საათი იყო...

**ზვიან** ღამით ონის შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილს ტელეფონით შეატყობინეს: სოფელ საკაოს შერეული ნაწარმის მაღაზია გატეხეს და 950 მანეთი ფული გაიტაცესო. ღამის ორი საათი იყო. სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი ჯ. ბროლაშვილი ჩაუდგა სათავეში.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნათელი გახდა, რომ ბოროტმოქმედს მაღაზიის შენობაში ვიწრო სარკმელიდან შეუღწევია, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ დამნაშავე პატარა ტანის უნდა ყოფილიყო. მას სიჩქარეში 950 მანეთიანი შეკვრა გაეტაცებინა, ხოლო 1300 მანეთი, რომელიც იქვე ქაღალდში შეხვეული იდო, მხედველობიდან გამორჩენოდა.

თენდებოდა, როცა ოპერატიულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ სოფელში ორი თვის წინ გაგრიდან საცხოვრებლად დაბრუნდა გ. აბესალაშვილი, რომელიც ბიძასთან ცხოვრობდა. გაირკვა, რომ წინა დღით იგი მაღაზიის გამგეს ახლდა თან სოფელში ფქვილის გაყიდვის დროს. შემდეგ კი ისინი რამოდენიმე ოჯახს ესტუმრნენ, გვარიანადაც გამოიბრუჟნენ და ერთმანეთს დაცილდნენ. მარტო ეჭვი არ კმაროდა, საჭირო იყო სამხილის პოვნა. მილიციის მუშაკები გ. აბესალაშვილის ბიძასთან მივიდნენ. ეჭვმიტანილი არ დახვდათ, მასპინძლებმა არც მისი ასავალ-დასავალი იცოდნენ. ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელის დასადგენად გადამოწმდა ყველა შესაძლო ვერსია გაგრაში, ბზიფში, ბიჭვინთაში, თბილისში, ამბროლაურის რაიონის სოფლებში.

ოპერატიული ჯგუფი უნარიანად, ოპერატიულად მოქმედებდა. მესამე დღეს დადგინდა, რომ აბესალაშვილი კვაისის დასახლებაში ვინმე ბაგაევთან იმალებოდა, ღამის 4 საათი იყო, როცა ოპერატიული ჯგუფი თავს დაადგა მას. დაკითხვისას ეჭვმიტანილმა დანაშაული აღიარა, ნივთმტკიცება — ფული ამოღებულია, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურებულია.

**რ. მეტრეველი,**
**ონის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.**

სანამ სამართალდარღვევა მოხდებოდეს

# ჩვენი ძალა ერთობლივ მოქმედებაშია

**გატარებული** ღონისძიებების შედეგად ზესტაფონის რაიონში ამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას როდი გვაძლევს, კვლავ სერიოზული მუშაობა გვმართებს იმ პრობლემების გადასაჭრელად, რაც ჯერ კიდევ მრავლად გაგვაჩნია ამ საქმეში. უპირველესად აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებასთან ერთად, საჭიროა არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა, ხოლო დასჯის შემთხვევაში ზომიერება.

სამართლებრივი აღზრდის სწორად წარმართვის მიზნით ზესტაფონის № 99 საშუალო პროფტექნიკურ სასწავლებელში ხშირად ტარდება ლექცია მოხსენებები, ტრადიციულად დამკვიდრდა შეხვედრები ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან, ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებთან. მაგალითად, სექტემბერში მოეწყო მოსწავლეთა და ოსტატ-პედაგოგთა შეხვედრა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსთან თ. ნოზაძესთან, ვენდაავადებათა დისპანსერის მთავარ ექიმთან დ. დეკანოსიძესთან, რომლებმაც ისაუბრეს არასრულწლოვანთა დანაშაულის, პასუხისმგებლობისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

სასწავლებელში ისწავლება „სამართალმცოდნეობის საფუძვლები". მოსწავლეები გულმოდგინედ ეუფლებიან კანონმდებლობის ძირითად საკითხებს, აქტიურად მონაწილეობენ საკანონმდებლო აქტების გაშუქება-შესწავლაში, მოწყობილია სამართლებრივი აღზრდის კუთხე. შექმნილია პროფილაქტიკური ჯგუფი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები აქვს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციასთან. ერთობლივი გეგმის მიხედვით ხშირად აწყობენ შეხვედრებს ძნელადაღსაზრდელ და დანაშაულობისადმი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან.

ამჟამად სასწავლებელში აღრიცხული გვყავს 6 ძნელადაღსაზრდელი მოსწავლე, რომლებსაც გამოყოფილი ჰყავთ შეფები, საზოგადოებრივი აღმზრდელები და სისტემატური კონტროლია დაწესებული მათზე.

ჩვენ მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობანი, რათა ძირშივე აღვკვეთოთ არასრულწლოვანთა დანაშაულობანი, ამისათვის პირველ რიგში საჭიროა პროფილაქტიკური ღონისძიებების მოფიქრებული და დროული განხორციელება.

**ალ. ბაჩეჩილაძე,**
საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი.

# ТВОРЧЕСТВО НАРОДА — ОБНОВЛЕНИЮ СТРАНЫ

**ПОД ТАКИМ** девизом сотрудники УВД Юго-Осетии принимают участие в третьем Всесоюзном фестивале народного творчества. Этот фестиваль, посвященный XIX Всесоюзной партийной конференции, 70-летию Ленинского комсомола, 45-летию Победы советского народа в Великой Отечественной войне, 110-й годовщине со дня рождения В. И. Ленина, призван способствовать дальнейшему подъему духовной культуры советских людей, развитию народного творчества, повышению его идейно - художественного уровня, улучшению организации содержательного досуга.

В борьбе с проявлениями всех форм правонарушений важнейшая роль принадлежит милиции. Успешно решать поставленные задачи по плечу лишь всесторонне подготовленным, грамотным работникам с высоким уровнем культуры. «Чтобы стать хорошим милиционером, — писал Ф. Э. Дзержинский, — надо непрестанно работать над обогащением своего ума знаниями, которые дадут тебе возможность честно стоять на страже революционной законности и сознательно проводить в жизнь все мероприятия Советской власти».

С мая прошлого года сотрудники органов и подразделений УВД Юго-Осетии участвуют в третьем Всесоюзном фестивале народного творчества. Для организации и руководства фестивальными мероприятиями был создан организационный комитет под председательством заместителя начальника УВД Юго-Осетии майора милиции Т. Табахмелашвили.

Торжественное открытие фестиваля состоялось в клубе УВД Юго-Осетии 27 мая 1988 года «Праздником духовой музыки».

Мероприятия, проводимые в рамках фестиваля народного творчества, показывают огромную тягу работников органов внутренних дел Юго-Осетии и их семей к культурному проведению своего досуга, выявляют таланты—певцов, чтецов, танцоров, художников, музыкантов, умельцев чеканки, резьбы по дереву.

Давно увлекается фотоделом, посвящает ему все свое свободное время эксперт-криминалист УВД Юго-Осетии капитан милиции В. Келехсаев. Поделки из дерева начальника паспортного стола Знаурского РОВД старшего лейтенанта милиции Т. Джагаева отличаются своей оригинальностью, своеобразным видением мира, настоящим народным колоритом. Высокий профессионализм, аккуратность, четко выраженная сюжетная линия характеризуют работы по металлу старшего инженера СВПЧ-30 г. Цхинвали старшего лейтенанта внутренней службы Э. Беруашвили. В своих работах он художественными средствами раскрывает образ современного пожарного, рассказывает о нелегком труде огнеборцев. Его работы по металлу были представлены на заключительном республиканском смотре-конкурсе второго Всесоюзного фестиваля народного творчества.

Очень понравился сотрудникам УВД автономной области праздничный концерт в День Советской милиции. Свое мастерство показали лауреаты заключительного республиканского смотра-конкурса Всесоюзного фестиваля народного творчества, участники фольклорного ансамбля УВД Юго - Осетии «Цард», которым руководит заслуженный деятель культуры Северо - Осетинской АССР А. Дзаттиати. Ансамбль исполнил осетинские и грузинские песни. Тепло приняли зрители и юных исполнителей: Вадима Бикоева, сына начальника ОУР Цхинвальского ГОВД майора милиции Е. Бикоева и Светлану Гергаулову, дочь старшего инспектора ИИРиТ УВД майора милиции В. Тедеевой.

Особый успех выпал на долю старшего инженера ОВО при УВД Юго-Осетии З. Чочиевой. Она исполнила несколько народных и современных песен. Вместе с милиционером Цхинвальского ГОВД, бывшим воином-интернационалистом Г. Кочиевым она исполнила и осетинский народный танец. Одним словом, праздник удался. И зрители, и артисты остались довольны концертом. Велико и воспитательное значение подобных мероприятий, они помогают выбрать интересные формы организации свободного времени.

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
**старший лейтенант милиции, инструктор пресс-группы политотдела УВД Юго-Осетии.**

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064, გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00669